

იურიდიული დოკუმენტების ენობრივი თავისებურებები და თარგმნის

საკითხები

(საქართველოს საბაჟო კოდექსის ქართულ-ინგლისური თარგმანის საფუძველზე)

ლელა გოდერძაული

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

გამოყენებითი უცხო ენები და საერთაშორისო მოლაპარაკებები/ეკონომიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე ლაფაჩიშვილი, მოწვეული ლექტორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლელა გოდერძაული

21.06.2022

აბსტრაქტი

იურიდიული ენის ენობრივი თავისებურებებისა და თარგმნის პრობლემატიკის შესწავლა უკვე არაერთი წელიწადია მიმდინარეობს, შედარებით მეტად არის შესწავლილი არსებული პრობლემატიკა და გამოკვეთილი თავისებურებები ინგლისურ ენაზე შექმნილ დოკუმენტებში, ვიდრე ქართული საკანონმდებლო სისტემის შიგნით არსებული იურიდიული საკანონმდებლო აქტებისა და მათი ინგლისური თარგმანების ლინგვისტური თავისებურებები.

გამომდინარე იქიდან, რომ სწორედ საქართველოს საბაჟო კოდექსი არის ის ფუნდამენტური საკანონმდებლო აქტი საქართველოში, რომელიც აწესრიგებს საქმიან ურთიერთობებს, კვლევისთვის შერჩეულია ეს იურიდიული დოკუმენტი და მისი თარგმანი ინგლისურ ენაზე. საქართველოს აქვს ღია სავაჭრო პოლიტიკა და სულ უფრო ღრმავდება სავაჭრო ურთიერთობა საქართველოსა და სხვა ქვეყნებს შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორედ ამ ტიპის დოკუმენტების განხილვა და მათი ინგლისური ვარიანტების ეკვივალენტობის საკითხის შესწავლა.

საკვანძო სიტყვები: იურიდიული ენა; თარგმანი; თარგმნის სტილი; ენის თავისებურებები

Abstract

The peculiarities of legal language and the problems related to the translation of this documents have been under ongoing research for numerous years already and it's only natural that the related problems and identified peculiarities are more studied in legal documents created in English, rather than the linguistic peculiarities characteristic to the legislation acts written in the frame of the Georgian law system and their English translations.

Therefore, given that the Customs Code of Georgia is the core document in Georgia that regulates the business relationships, this document and its translation in English language are selected for the research. Georgia has an open trade policy and its trade relations with other countries deepens as time passes, it's all the more important to discuss the documents of this kind and equivalency of their English translations. This issue must be interesting for linguists, as well as for an ordinary reader interested in the problem.

Keywords: legal language; translation; translation style; language peculiarities

მადლობა

წინამდებარე სამაგისტრო თეზისის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის, დაწყებული საკვლევით თემის შერჩევის თემატიკით ვიდრე მის საბოლოო ვერსიად ჩამოყალიბებამდე, დიდი მადლობა მსურს გადავუხადო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ ლექტორს, ქალბატონ სალომე ლაფაჩიშვილს, რომლის დიდი დამსახურებაცაა ჩემს მიერ ფილოლოგიაში გადადგმული პირველი ნაბიჯები.

მადლობას ვუხდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა იმ ლექტორს, რომელთანაც მუშაობის ბედნიერება მხვდა წილად, რადგან მიუხედავად სწავლის ფორმატის ცვლილებისა, ვთვლი, რომ მათი შრომა და ძალისხმევა ჩვენთვის ცოდნა გაეზიარებინათ კიდევ უფრო დასაფასებელია.